



დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N15

2014 წლის 28 მარტი

ქ. დუშეთი

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „დუშეთის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანების“ საბიუჯეტო ასიგნებებიდან სპორტული ღონისძიებების დაფინანსებისათვის გამოყოფილი თანხების ხარჯვისა და ანგარიშსწორების წესის დამტკიცების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, ამავე კანონის მე-16 მუხლის მე-3 პუნქტის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

**მუხლი 1.**

1. დამტკიცდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „დუშეთის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანების“ საბიუჯეტო ასიგნებებიდან სპორტული ღონისძიებების დაფინანსებისათვის გამოყოფილი თანხების ხარჯვისა და ანგარიშსწორების წესი, დანართი №1.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს „დუშეთის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „დუშეთის მუნიციპალიტეტის კულტურულ საგანმანათლებლო ცენტრის საბიუჯეტო ასიგნებებიდან სპორტული ღონისძიებების დაფინანსებისათვის გამოყოფილი თანხების ხარჯვისა და ანგარიშსწორების წესის დამტკიცების შესახებ“ საკრებულოს 2013 წლის 28 მარტის №19 განკარგულება.

**მუხლი 2.**

ეს განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე

საკრებულოს თავმჯდომარე

ცარო სამაგლიშვილი



არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის “დუშეთის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანების” საბიუჯეტო ასიგნებებიდან სპორტული ღონისძიებების დაფინანსებისათვის გამოყოფილი თანხების ხარჯვისა და ანგარიშსწორების წესი

### მუხლი 1. ზოგადი დებულებები

დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ “დუშეთის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანების (შემდგომში გაერთიანება) საბიუჯეტო ასიგნებებიდან სპორტული ღონისძიებების დაფინანსებისათვის გამოყოფილი თანხების ხარჯვისა და ანგარიშსწორების წესი (შემდგომში წესი) არეგულირებს დუშეთის მუნიციპალიტეტში საბიუჯეტო ასიგნებებიდან სპორტული ღონისძიებების დაფინანსების ნორმების განსაზღვრას და უზრუნველყოფს საქართველოში და საქართველოს ფარგლებს გარეთ სპორტული ღონისძიებებისათვის დუშეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გაერთიანებისთვის გამოყოფილი სახსრების ხარჯვის და ანგარიშსწორების კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად განხორციელებას.

### მუხლი 2. საქართველოში და საქართველოს ფარგლებს გარეთ გასამართ სპორტულ ღონისძიებებზე მონაწილეთა (სპორტსმენი, მწვთნელი, მსაჯი, წარმომადგენელი) დაფინანსების წესი.

1. საქართველოში გასამართ სპორტულ ღონისძიებებზე მონაწილეთა დაფინანსება განისაზღვროს:
  - ა) მგზავრობის ხარჯები შესაბამის მიმართულებაზე არსებული მგზავრობის ღირებულების გათვალისწინებით ან სათანადო ხელშეკრულებით დაქირავებული ტრანსპორტის ღირებულების შესაბამისად.
  - ბ) დღიური კვების ხარჯი იანგარიშება ღონისძიებაზე ფაქტობრივად ყოფნის დღეების ჩათვლით, ერთ მონაწილეზე არაუმეტეს 15 ლარის ოდენობით.
  - გ) საცხოვრებელი ფართის დაქირავების ხარჯი განისაზღვრება არაუმეტეს საშუალო კლასის სასტუმროს ნორმის ღირებულების გათვალისწინებით, წარმოდგენილი ფაქტობრივი ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტის შესაბამისად.
  - დ) სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობისათვის შესაბამისი დაფინანსების უზრუნველსაყოფად სავალდებულოა შემდეგი დოკუმენტების წარდგენა, შეჯიბრებაზე მოწვევა ან/და შეჯიბრების დებულება, უფლებამოსილი პირის ხელმოწერით და ბეჭდით დამოწმებული, სპორტული ღონისძიების ხარჯთაღრიცხვა და მონაწილეთა სია.
  - ე) ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის ვადა განისაზღვროს სპორტული ღონისძიების დამთავრებიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში.
  - ვ) სპორტულ ღონისძიებაში მონაწილეთა ხარჯების ანაზღაურება განხორციელდეს წინასწარ ან სპორტული ღონისძიების დამთავრების შემდეგ, წინამდებარე წესით განსაზღვრული დოკუმენტების წარმოდგენის შესაბამისად.
2. საქართველოს ფარგლებს გარეთ გასამართ სპორტულ ღონისძიებებზე მონაწილეთა დაფინანსება განხორციელდეს საქართველოში მოქმედი საბიუჯეტო სახსრებიდან სპორტული ღონისძიებების დაფინანსების წესის შესაბამისად.
3. დუშეთის მუნიციპალიტეტის ფარგლებში ჩასატარებელი სპორტული ღონისძიებები დაფინანსდეს:
  - ა) სპორტულ ღონისძიებებზე საპრიზო ფონდის და მსაჯების ხარჯის ანაზღაურება განხორციელდეს შესაბამისი სპორტული ღონისძიების დებულებით განსაზღვრული ოდენობით.